ვამტკიცებ
შპს ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკას“
დირექტორი /თამარ მაისურაძე/

ბრძანება №68[1] 16.09.2021 წ.

# შპს ქართულ-ინგლისური სკოლა

# „ბრიტანიკა“

# სასწავლო პროცესის რეგულირების წესი

## /ახალი რედაქციით/

-2021-

## მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. შპს ქართულ-ინგლისური სკოლა ,,ბრიტანიკას“ სასწავლო პროცესის რეგულირების წესი შემუშავებულია ,,ზოგადი განათლების სესახებ’ საქართველოს კანონის, სკოლის წესდების, შინაგანაწესის, სკოლის დებულები და განათლების სისტებაში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.
2. წინამდებარე წესი განსაზღვრავს იმ დოკუმენტების ჩამონათვალს, რომლებიც ხელს უწყობს სკოლაში სასწავლო პროცესისი განხორციელებას.

## მუხლი 2. წესდება

1. შპს ქართულ-ინგლისური სკოლა ,,ბრიტანიკას’ წესდებით განისაზღვრება:
   - საზოგადოების სტატუსი
   - საზოგადოების საქმიანობის მიზნები და საქმიანობის საგანი
   - საზოგადოების საწესდებო კაპიტალი, დამფუძნებელი პარტნიორები და მათი წილები
   - საზოგადოების პარტნიორის უფლებები და მოვალეობები
   - საზოგადოების პარტნიორთა კრება
   - საზოგადოების ხელმძღვანელობა
   - რევიზია
   - საქმიანობის შეწყვეტა და ლიკვიდაცია

## მუხლი 3. შინაგანაწესი

1. შპს ქართლ-ინგლისური სკოლა ,,ბრიტანიკას“ შინაგანაწესი (შემდგომში - „შინაგანაწესი“) შემუშავებულია საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსის“ და სხვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია სკოლისათვის რომელიც ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას.
2. შინაგანაწესი თანაბრად ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ პირებზე, მოსწავლეებსა და მათ მშობლებზე/კანონიერ წარმომადგენლებზე, ასევე სკოლის ტერიტორიაზე მყოფ ნებისმიერ პირზე და სავალდებულოა შესასრულებლად, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.
3. შინაგანაწესის მიზანია:
   - სკოლის საქმიანობის ხელშეწყობა, მისი მისიის შესრულება და სკოლაში უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა;
   - სკოლაში დასაქმებულ პირთა შრომითი და მისი თანმდევი ურთიერთობების მოწესრიგება და კონტროლი;
   - სკოლაში დისციპლინის დაცვის უზრუნველყოფა;
   - სასწავლო-სამუშაო დროის რეგულირება და რაციონალური გამოყენება;
   - სკოლაში სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვისა და დისციპლინის დაცვისთვის მოსწავლეთა ქცევის წესების მოწესრიგება და კონტროლი;

- სკოლაში დადგენილი წესების და პირობების შესახებ დაინტერესებული პირების ინფორმირება

4. შინაგანაწესი განსაზღვრავს:
   - სამუშაო კვირის ხანგრძლივობას, სამუშაო და დასვენების დროს;
   - სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმებს და ფარგლებს;
   - შრომითი ურთიერთობის წარმოშობას, შეწყვეტას;
   - შრომითი ურთიერთობის პირობებს;
   - შრომის ანაზღაურების გაცემის, შვებულების ხანგრძლივობისა და მისი გაცემის წესებს; 6.6 წახალისების ფორმებს;
   - დასაქმებულთა და მოსწავლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის წესებს;
   - მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვისა და სკოლიდან გადაყვანის პირობებს;
   - დასაქმებულისა და მოსწავლის ჩაცმულობის წესს;
   - განაცხადის/საჩივრის განხილვის წესს;
   - შრომის პირობების დაცვასთან დაკავშირებულ ზოგად ინსტრუქციებს;
   - ექსკურსიის ორგანიზებას.
   - დასკვნით დებულებები

**მუხლი 4. სკოლის დებულება**

1. სკოლის დებულება აწესრიგებს შპს ქართულ-ინგლისური სკოლა ,, ბრიტანიკას“ საგანმანათლებლო საქმიანობას, სკოლის მართვის პრინციპებსა და წესებს.
2. სკოლის დებულება განსაზღვრავს:
   - სკოლის სტატუსს
   - მიზნებს, ფუნქციებს და საქმიანობის საგანს
   - სკოლის სტრუქტურას და მართვას
   - სკოლის ქონებას და ფინანსებს
   - დებულებაში ცვილებებისა და დამატებების შეტანას
3. სკოლის დებულებით განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულების მუშაობა რეგულირდება სკოლის მიერ შემუშავებული შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების დებულებებით.

**მუხლი 5. სასკოლო სასწავლო გეგმა**

1. შპს ქართულ-ინგლისური სკოლა ,,ბრიტანიკას“ სასკოლო სასწავლო გეგმა შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე.
2. სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ქართულ ენაზე, სრული ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე დაწყებით (I-VI კლ), საბაზო (VII-IX კლ), საშუალო (X-XII კლ).
3. სასწავლო სასკოლო გეგმა შედგენილია განვლილი სასწავლო წლის შედეგების ანალიზისა და შეფასების საფუძველზე, სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის ჩართულობით. სსგ-ს პროექტი განიხილება პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე დირექტორის მონაწილეობით და მტკიცდება სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი კვირით ადრე (გარდა ისგ ).
4. სასკოლო სასწავლო გეგმით განისაზღვრება:
   - სკოლის მისია

- სკოლის ხედვა და ღირებულებები
- სკოლის ძირითადი საგანმანათლებლო პრინციპები
- ძირითადი მეთოდიკური ორიენტირები
- მისია საფეხურების მიხედვით სკოლის
- სასწავლო პროცესის ორგანიზება
- სკოლის დღის რეჟიმი
- საათობრივი ბადე
- სადამრიგებლო პროგრამა
- საგნობრივი კათედრები
- დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურეობა
- საგანმანათლებლო რესურსები
- მოსწავლის შეფასების სისტემა
- ინკლუზიური განათლება
- სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვისა
- და მიღებული შედეგების შეფასების წესი და პირობები

**მუხლი 6. ხარისხის უზრუნველყოფა**

1. სკოლის მთავარი ამოცანა განათლების ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებაზე ზრუნვაა.
2. სკოლაში ხარისხის უზრუნველსაყოფად შექმნილია:
    - შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
    - სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების და დამტკიცების მექანიზმები
    - ხარისხის მართვის და მხარდამჭერი ჯგუფის დებულება
3. ხარისხიანი განათლების მისაღებად მნისვნელოვანია სკოლაში კვალიფიციური კადრების მოზიდვა. ამ მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს:
    - ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმები
    - ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების წესი

**მუხლი 7. სასწავლო პროცესის რეგულირების წესი მიღება, შეცვლა და გაუქმება**

1.სასწავლო პროცესის რეგულირების წესს შეიმუშავებს და ბრძანებით ამტკიცებს შპს ქართულ- ინგლისური სკოლა ,,ბრიტანიკას“ დირექტორი.

2. სასწავლო პროცესის რეგულირების წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება შპს ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკას“ დირექტორის ბრძანებით.